# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 6 1883—1895 15—30 მარტს.



ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა (მათ. 21, 9).

ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე. სისხლი მაგ-სი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა! (ლუკა 23, 21).

როდესაც ჩვენ, ქრისტიანენი ამ მეცხრამეტე საუკუნისა, როცა განათლებამ და კაცთმოყვარებამ შესამჩნევი ალაგი დაიკავა, დაუფიქრდებით სახარების ზემო მოყვანილ სიტყვებს, განცვიფრებაში მოვჰყავართ ებრაელების გონების სიბნელეს, მათ გულცივობასა და მოუსაზრებლობას. ჭეშმარიტად ყველა ასე იფიქრებს, ვინაცკი კარგად გამოიკვლევს სახარების მოთხრობას იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებულად შესვლის და მისდამი იმ ხალხის აღტაცებით მიგებების შესახებ, რომელიც, ხალხი, მეხუთე დღეს ამავე მაცხოვარზე გაბრაზებული გაიძახოდა: «ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელები ძლიერ მოწადინებულნი იყვნენ ექვსი დღის წინათ, რომ იესო ქრისტე მეფედ გამოეცხადებინათ, მაგრამ მაცხოვარი მიეფარა და ხალხი თავის სურვილს ვერ ეწია. ხუთი დღის შემდეგ ესევე ხალხი მაღალი ხმით თხოულობს, რომ იესო ჯვარს აცვან!.. ამ ამბების მოსმენის შემდეგ ჩვენ, ქრისტიანენი, ვფიქრობთ, რომ ჩვენ არასოდეს ამისთანა სამარცხვინო საქციელს არ ჩავიდენდით, რომ მათ, ე. ი. ებრაელების ადგილზე ვყოფილიყავით იმ დროს. მხოლოდ ამისთანა გონების დაბნელებას მივაწერთ მარტო ებრაელთა, რომელთაც, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველთა, თვალი ქონდათ, მაგრამ ვერ ხედვიდნენ; ყური ჰქონდათ, მაგრამ არა ესმოდათ რა. მართლა, ნუ თუ ვერ დარწმუნდენ ებრაელები იმდენი სასწაულების შემდეგ, რომელთაც მაცხოვარი იესო იქმოდა მათ თვალის წინ? როგორ ვერ შეიტყვეს, რომ იესოს არც ერთი ის დამნაშაობა არ მიუძღოდა, რასაც ეწამებოდა ხალხი იმას პილატეს და მღვდელ-მთავრების წინაშე?

როგორ ვერ შეიგნეს მაცხოვრის უმაღლეს სწავლა-მეცნიერება? იგინივე ხედავდნენ და სწამდათ ქრისტეს სასწაულები, მაგრამ პირით აღიარებდნენ და გულით არა სწამდათ, უყურებდნენ, მაგრამ გონების თვალით ვერ ხედვიდნენ. ათი მცნება, რომელიც ღმერთმა მისცა ებრაელებს მოსეს პირით, კარგად იცოდნენ ზეპირად და ნიადაგ თვალით უცქეროდენ ტაძარში, მაგრამ ეს ცოდნა და ეს ნიადაგი თვალით მზერა ვერ იფარავდა მათ, იგინი დღეში ათას გზის არღვევდნენ უფლის მცნებას და ხან-დის-ხან სულ უარს ჰყოფდენ მას და კერპთაყვანისმცემელნი ხდებოდენ.

ებრაელებმა გამოსცადეს ყოველნაირი წესი ხალხის მმართველისა მსაჯულებიდან დაწყებული მეფეებამდისინ. ჰყავდათ მმართველებათ და გამგებლად ღვთისაგან დანიშნულნი მმართველნი, მაგრამ მათ საქმეს არა ეშველა რა, მათ შეცთომებს, მათ ათასნაირ ღვთის სასჯელში შთავარდნას არ მოელო ბოლო. ებრაელები რომ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც უფალი ბრძანებდა ათ მცნებაში, რა უშავდათ, ვინ წაართმევდათ მათ ბედნიერებას? ვინ იქნებოდა მათთანა ბედნიერი დედამიწაზე? ვინ დაჩაგრავდა და დაიმონებდა მათ? დიახ, ასე ვფიქრობთ ჩვენ, ქრისტიანენი, ებრაელებზე. ასე ფიქრობენ ყველანი მათზე დღეს და ამხილებენ მათ მათი გულფიცხობისა, გაუკებლობისა და შეუგნებლობისათვის.

მაგრამ გადავავლოთ თვალი ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს მოქმედებას, ჩვენს საქციელს. როგორ ვიქცევით? გვაქვს უფლება, რომ ამისთანა საყვედური და განკიცხვა გამოვსთქვათ ქრისტეს დროის ებრაელებზე? შეგვიძლია მათ უსაყვედუროთ, რომ იგინი რიგიანად ვერ მიეგებენ ქვეყნის მხსნელსა და მაცხოვარს სოფლისასა. შეგვიძლია იგინი განვკიცხოთ, რომ ერთ დროს ქრისტეს შეეგებენ ალტაცებითა და ოსანას უმღერდენ და მეხუთე დღეზე მის ჯვარზე ცმას თხოულობდენ? სრულებით არა. აბა დავაკვირდეთ ჩვენს საქციელს კარგად, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ჩვენს შეხედულებას. მართალია, ქრისტეს დროის ებრაელთაგან დღემდის აგერ 1895 წელიწადი მიდის, მაგრამ ზოგიერთები ეხლანდელი დროის ქრისტიანებიც მათ მსგავსათ ისე მსწრაფლ აღიარებენ მაცხოვრის დიდ სწავლა-მეცნიერებას და აღიარების შემდეგ კი ისინიც სრულებით უარს ჰყოფენ მას. ზოგიერთს ძლიერ დიდათ მოაქვს თავი მით, რომ იგი ქრისტიანე არის, მაგრამ თავისი უზნეო ცხოვრებით კი უარსა ჰყოფს ქრისტეს მცნებას. ქრისტემ ბრძანა: შეიყვარე მოყვასი შენი და უცხოელი კაცი, ვითარცა თავი თვისი. ჩვენ კი მოყვასად მიგვაჩნია მარტო ჩვენი მოძმე, და ის, ვინც ჩვენი მასიამოვნებელი და თანამოაზრეა. გარეშე კაცს ვსდევნით თავისს და ადგილიდან ვაწიოკებთ. ქრისტემ ბრძანა: ერთმანეთი გიყვარდესთ, უცხოელი კაცის ჭირი და ლხინი თქვენს ჭირად და ლხინად მიგაჩნდესთ. ჩვენ კი სულ სხვანაირად ვიქცევით. ერთის დამდაბლებით და გათახსირებით მეორე ბედნიერ ცხოვრებას იმკვიდრებს, ერთის დამონება, დაგლახავება მეორესთვის სასიამოვნოდ რჩება. ერთის გაქრობა და პირისაგან ქვეყნისა აგვა მეორეს ადგილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხსნის კეთილდღეობითი ცხოვრებისათვის. ნუ თუ ესრეთი მოქმედება უარყოფა არ არის ქრისტესი?

შენ ჯვარსა და სახარებაზე იფიცავ და პირობას სდებ, რომ ყოველივეს მართალს იტყვი და სიმართლეს აღიარებ, მაგრამ სიმართლის მაგიერ სიცრუეს ამბობ და სიმართლეს ჰფარავ. ნუ თუ შენც უარის მყოფელი არა ხარ, რომელსაც ჯვარსა და სახარებაზედ შეფიცე კანონისამებრ მსახურებისათვის?

შენ ჯვარსა და სახარებაზე შეფიცე ხელმწიფეს, რომ სახელმწიფოის საზარალოდ და დასაკლისად არ მოიქცევი, მაგრამ სახაზინო ფული, რომელიც მონდობილი ჰქონდა საქმის შესასრულებლად, ბოროტად მოიხმარე, საქმისთვის მოიხმარე მანეთიდან ექვსი შაური და სამი აბაზი და უხალთუნი შენ ჯიბაში ჩაიდევი. ნუ თუ შენ ქრისტეს უარისმყოფელი არა ხარ ამ შემთხვევაში ებრაელების მსგავსად?..

შენ ჩაგაბარეს სამწყსო დასამწყსავად. შენ უნდა ყო შენი სამწყსოისთვის მამა, მზრუნველი მისი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის, მაგრამ შენ არ ხარ ჭეშმარიტი მწყემსი, შენი ხმა არ ესმის შენ ცხოვართა, იგი მიგიტოვებია, რომ მგელმა წარიტაცოს და დაღუპოს. ნუ თუ შენ უარს არ ჰყოფ მაცხოვარს, რომელმანცა დაგადგინა შენ მწყსად ცხოვართა თვისთა, რათა სიცოცხლე თვისი შეგეწირა მათთვის?...

შენ გაბარია მოსწავლენი ზნეობით აღსაზრდელად. შენ ფიცი მიგიღია ერგული სამსახურისათვის, მაგრამ არაფერი შეგჭირს მოსწავლეთათვის. შენი ცხოვრება დამღუპველი მაგალითია მოსწავლეთათვის ზნეობითი მხრით და აღსაზრდელთა შენ უყურებ არა ეითარცა მამა შვილთა, არამედ როგორც მტერი და მათზედ არა მზრუნავი. ნაცვლად იმისა, რომ კარგად მოიფიქრო შენგან ნატვირთი საგნის სწავლება, შენ მთელი ღამე ბანქოს თამაშობ და მეორე დღეს გულის ჯავს საწყალ შეგირდებზე იყრი. ნუ თუ შენც უარის მყოფელი არა ხარ ქრისტესი?..

დიახ, ჩვენ, ძმანო, ძლიერ ვკიცხავთ ქრისტეს დროის ებრაელთა, რომ იმათ არ შეიწყნარეს და არ შეითვისეს ქრისტეს მაღალი სწავლა, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჭეშმარიტი ქრისტიანენი, თუმცა ნაყოფი არ მოგვაქვს ქრისტეს სწავლა მოძღვრებით და თუ ჩვენი გული და გონება არ გარდუქმნია სახარების სწავლას. მიიხედ-მოიხედეთ დედა-მიწაზე და დააკვირდით ქრისტიანეთა ცხოვრებას და საქციელს. რამდენი იარაღი, რამდენი ყუმბარები, რამდენი წამალი და რამდენი მანქანა მზადდება მოყვასთა—ქრისტიანეთა გასაჟლეტად და დასახოცად!.. რა შურისგება, რა თაღლითობა, რა ფარისევლობა და რა გაუტანლობა სუფევს ამ კურთხეულ მეცხრამეტე საუკუნეში ქრისტიანეთა შორის, მთელს ევროპაში. ისიც რომელის? ქრისტეს სწავლა-მოძღვრების დაარსებიდან 1895 წელში. ნუ თუ ეს არის ქრისტეს მცნების: **შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი,** ასრულება. სრულიად არა. ქრისტიანედ მაშინ შეგიძლია უწოდო შენს თავს, როდესაც სახარების სწავლა შენს ძვალსა და რბილში შესულა და იქცევი ამ სწავლისამებრ და მაშინ შეგიძლია შენ იდღესასწაულო ბზობა ჭეშმარიტად და იგალობო: **კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მესა დავითისასა!**

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რომ უმაღლესი ბრძანებით უწმიდეს სინოდს გარდაეცა 700,000 მან. მთელი იმპერიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოთ. ეხლა ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიტყუეთ, რომ ამ 700,000 მანეთიდგან იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების სასარგებლოდ 5500 მანეთი არის დანიშნული.

* * *

ქუთაისში პეტრე-პავლეს ეკკლესია დაიწვა ყოველივე თავისი მორთულობით და საბუთებით. აქვე ქვიტკირის ეკკლესია, დიდი ხანია, შენდება, მაგრამ ჯერ კიდევ გათავებული არ არის ეკკლესიის კედელი. ორი მღვდელია ამ ეკკლესიაზედ სემინარიელები. საზოგადოებამ ითხოვა, რომ ეკკლესიის შენების საქმე და ფულების შეკრება მიენდოს ნიშნიანიძე მღვდელს, რომელიც ოკრიბაშია და, ვგონებ, სემინარია კი არა ოთხი კლასიც არ გაუთავებია. მღვდელმთავარმა საზოგადოების თხოვნით დანიშნა მ. ნიშნიანიძე, რათა მან ხსენებული ეკკლესიის შენობისთვის ფულები მოაგროვოს.

* * *

კუდაროს ხეობაში (რაჭის მაზრაშია) შესანიშნავი ძველი ნაშთები აღმოუჩენიათ. ერთ ადგილას ყოფილა ხუთი დიდი ხე ნაძვისა და თელა. ეს ხეები მოუჭრიათ და ბოლოს ერთ გლეხ კაცს სიზმრის ჩვენებით ამ ხეების ძირში ამოუთხრია მიწა საჟენ ნახევრის სიღრმეზე. აქ გამოჩენილა პატარა ქვიტკირის ეკკლესია, რომელშიაც უნახავთ ეკკლესიის ჯვრები და სხვა ნივთები. აქვე უნახავთ ერთი ქვა ეკკლესიის კედელზე, რომელზედაც დაწერილი ყოფილა ქორონიკონი 1001 წლისა: დაწვრილებითი ამბავს ამ საქმის შესახებ შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს.

## უკანასკნელი დღენი უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანესძის ბაგრატიონისა და მისი დასაფლავება ღვანკითში.

7 თებერვალს, საღამოს შვიდს საათზე, ქალაქ თფილისში, სადაც საქმით იყო წასული, გარდაიცვალა უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე. ნოემბრის თვეში ის, როგორც შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავსმჯდომარეობდა სამხედრო ბეგრის საქმეების გამო დაარსებულ სხდომებზე შორაპანში და საჩხერეში. აქ ცუდი ტაროსის გამო განსვენებული გაცივდა და დასნეულდა. ბოლოს ქუთაისის ექიმებმა ურჩიეს მას თფილისში წასვლა საქმით. თფილისში ერთ თვეზე მეტი დაჰყო განსვენებულმა და, ცოტა არ იყოს, უმჯობესად შეიქნა. იანვრის დამდეგს განსვენებულმა მოისურვა თავისი შვილის და ოჯახობის ნახვა. ექიმებმაც ნება დართეს განსვენებულს და ცოტას ხნით იგი თავის ოჯახში დაბრუნდა. თებერვლის დამდეგს განსვენებული ხელახლად დაბრუნდა თფილისში. აქ რამოდენიმე ექიმი სწამლობდა განსვენებულს და ყოველივე ღონის მიებას ხმარობდენ, რომ განსვენებული განეკურნათ. ავადმყოფობა მისი ცნობილ იქმნა ნერვკელგით და წამლობდენ ელექტრონით და დაზელით. თუმცა განსვენებულს ძლიერ აწუხებდა ამ გვარი წამლობა, მაგრამ მაინც ემორჩილებოდა ექიმების რჩევას. როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა გამოკითხე განსვენებულს მისი სნეულების ამბავი, გაბედულათ მოკახსენე, რომ ექიმებს ვერ გაუგიათ თქვენი სნეულება მეთქი და ამიტომ წამლობაც არ უნდა იყოს, ჩემის აზრით, რიგიანი—თქო.

—მაგას მარტო თქვენ არ მეუბნებით, მითხრა განსვენებულმა, თვითონ ჩემმა ექიმმა, «მასაჟისტმა» აი რა მითხრა: „თქვენი ავათმყოფობის ჩვენ სრულებით ვერ გავიგეთ რა და გწამლობთ ამ ნაირად იმიტომ, რადგან თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ცოტათი გიხდებათ და გვერდის ტკივილსაც ცოტათი გიყუჩებსო; ჩვენც ვფიქრობთ, რომ სწორეთ გიხდება ეს ექიმობა, თორემ ავათმყოფობა თქვენი კარგად ვერ გამოვიკვლიეთო. შემდეგ ერთი საათის ტკბილის მუსაიფობისა მოვშორდით განსვენებულს. ეს დღე იყო შაბათ საღამო. კვირას, დილით განსვენებულს ფრიად ბევრი სისხლი წასქდა პირიდგან. ექიმებმა, თითქმის, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენა მიულოცეს განსვენებულს, რადგან ეგონათ, რომ ავათმყოფობის მიზეზი იყო ამ სისხლის შეგუბება. განსვენებულმა მაშინვე იმედი დაკარგა მორჩენაზედ, იგრძნო აღსასრულის მოახლოება და მაშინვე თავისი მეუღლე და ნაცნობნი დაიბარა იმერეთიდგან. იმავე დღესვე ჩამოვიდა თფილისში განსვენებულის მეუღლე და ნაცნობნი. კვირიდან სამშაბათის შვიდ საათამდის იცოცხლა განსვენებულმა, შემდეგ კი სული განუტევა.

„ბალზამით" შეამზადეს განსვენებულის გვამი. ძლიერ საინტერესო იქნებოდა, რომ განსვენებულის ავათმყოფობის მიზეზი შეემოწმებიათ სხვა ექიმებს, მაგრამ ამისთანა უზომო მწუხარების დროს ამაზედ აღარავინ ფიქრობდა. ჩვენ ძლიერ გვაკვირებს ელექტრონით და ასე მაგრად ზელით ექიმობა ამისთანა სნეულის გვამისა, რომელიც პირიდან სისხლის წაღებით, რომელიმე არტერიის მოწყვეტით თუ გახეთქით უნდა გარდაიცვალოს!.. სამწუხაროდ ჩვენში ჯერეთ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ექიმები შეთანხმდებოდნენ ერთმანეთში, რომ, თუ სნეულება ვერ შეიტყვეს, წამლობაზე ხელი აიღონ..

---

## რამდენიმე ცნობა ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამომავლობაზე.

უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი არის დიდი მეფის სოლომონ პირველის ძმისწულის შვილი-შვილი. განსვენებულის მამას ერქვა ივანე, ივანეს მამას დავით და დავითის მამა იყო ბაგრატი სოლომონ პირველის ძმა, მეფე ალექსანდრე V შვილი. განსვენებულის ოჯახს დიდი მწუხარება მიადგა იმერეთში აღრეულობისაგამო 1808 და 1820 წლებში მამა განსვენებულის ალექსანდრესი წაიყვანეს სათათრეში და იქიდან, დამშვიდების შემდეგ, უკანვე დაბრუნდა. ივანეს კარგს ადგილს აძლევდენ, რომ მოშორებოდა თავის სახლ-კარს, მაგრამ ყველა დიდებას მან წყნარი და მყუდრო ცხოვრება ამჯობინა და თავისუფლად ცხოვრებდა ღვანკითში უკანასკნელს დღემდე...

ივანეს ბევრი შვილები ეყოლა, მაგრამ მარტო ერთად ერთი შვილი განსვენებული ალექსანდრე დარჩა; ამ უკანასკნელსაც დარჩა მარტო ერთი შვილი დავითი.

განსვენებულის გვამი თფილისიდან გამოასვენეს რკინის გზის სადგურზე ათს თებერვალს, პარასკევს დილით. რკინის გზის სადგურამდე მიცვალებულს გამოჰყვა საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი, ბესარიონი, ალავერდის ეპისკოპოსი და მრავალი სამღვდელოება. პატივისმცემელნი და ხალხი ძლიერ ბევრი მოეყვებოდნენ. სადგურზე გადაიხადეს პანაშვიდი და საღამოს 7 საათზე განსვენებულის გვამი რკინის გზით წამოასვენეს იმერეთისკენ.

მიცვალებულს თვალცრემლიანი უხვდებოდა საზოგადოება რკინის გზის სადგურებზედ; განსაკუთრებით შესანიშნავი იყო დახვედრა ხაშურისა, ხარაგაულისა და ყვირილის სადგურებზედ.

ხაშურის სადგურზედ მრავალ თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცობის თანადასწრებით განსვენებულს პანაშვიდი გადაუხადა მ. სუხიაშვილმა სხვა მღვდელთა მონაწილეობით; ბელაგორის სადგურზედ შემოეგება მატარებელს ქალი და კაცი, სადაც მიცვალებული ესვენა და დაიწყეს ხმა-მაღლა ტირილი.

დილის 9/2 საათზედ საგანგებო მატარებლით ყვირილის სადგურზედ მოასვენეს, სადაც მიეგება შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა მღვდლებით.

კაცი ვერ გამოსთქვამს, თუ რა გლოვა-ტირილით მიეგება საზოგადოება განსვენებულს. აქ დეკ. თავით ღამბაშიძემ პანაშვიდი გადაუხადა მიცვალებულს და შემდეგ წაასვენეს სოფლისკენ. თუმცა სამი ცხენით გაბმული ძვირფასი ბალდახინი იყო მომზადებული მიცვალებულის ნაშთის წასაღებად, მაგრამ საზოგადოებამ ისურვა მიცვალებულის ხელით წასვენება.

სოფლებს ადრევე გაგებული ჰქონდათ, მიცვალებულს რომელის გზით წაასვენებდნენ, ამიტომ თითო-ოროლა ვერსზედ წინ ხვდებოდა ქალი და კაცი მღვდლებით ტირილ-ყივილით. ასეთი მომტირალნი ზესტაფონიდგან მოკიდებული სასახლემდის ათჯერ მიეგება და თან გაჰყვნენ სასახლემდე.

ქვის გულიც რომ ჰქონოდა კაცს, მაინც ვერ შეიკავებდა ტირილს განსვენებულის გვამის ეზოში შესვენების დროს. ძნელი ასაწერი არის ის საზოგადო გულთ მწუხარება, რომელსაც ყველანი გრძნობდნენ. განსვენებული დაასვენეს სასახლეში და ყოველ დღე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირილი და გაება. მაგრამ უკანასკნელი ტირილის და გამოთხოვების დღე იყო 23 თებერვალი, ამ დღისათვის მოწვეულნი იყვნენ ყველა მღვდელ-მთავრები მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსი თურთ. მაგრამ მათი მეუფება ვერ მობრძანდა ავათმყოფობისა გამო. მობრძანდნენ მღვდელმთავრები იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და ალავერდისა ეპისკოპოსი ბესარიონი. 23 თებერვლის ტირილის დღეს აუარებელი ხალხი მოვიდა ყოველი კუთხიდან ქუთაისის გუბერნიისა. მეტად კარგად დაწყობილი ტირილი იყო. რამდენჯე რმე მღვდელმთავრებმა ამ დღეს პანაშვიდი გადიხადეს და ხუთი საათი იქნებოდა სწორეთ, როდესაც სასახლიდან გამოასვენეს განსვენებული. გამოასვენეს თუ არა ეზოში, აქ დახვდა შორაპნის მომრიგებელი სასამართლოს მდივანი თეოფილე ი. ხუსკივაძე და უთხრა შემდეგი სიტყვა:

## უგანათლებულესო თავადო ალექსან დრევ!

«შენმა ასე უდროოთ გარდაცვალებამ მწუხარების ცეცხლის ალი აანთო ყვირილის საზოგადოების გულში და დროთა ვითარების გამო ისედაც დანაღვლიანებული გული კიდევ უფრო დაანაღვლიანა, მწუხარებით დასერა და ეს გულის ნატკენი, დანატკენი, დაბალღმული იარები, ბნელი სამგლოვიარო ძაძით შემოსა. ამ ნაღვლიანის გულის ნაგრძნობის გადმოსაცემად და შენდამი ღრმა პატივისცემის ნიშნათ მომანდეს მე მცირედი გვირგვინით შემემკო შენი საფლავი და რამდენიმე სიტყვა მეთქვა. ვასრულებ რა ამ ჩემთვის ძვირფასს მონდობილებას, კრძალვით მოგახსენებთ!

როდესაც რომელსამე ერს ბედის ჩარხი უკულმა დაუტრიალდება და ცხოვრება წარმატების გზას გადაუხვევს, მაშინ ამ გვარი ერის გამომაბრუნებელი და იმედების შუქის მომფენი თითო ორ-ორი ისტორიული ნაშთნი, ცოცხალი სახსოვარი, ოქროს გულის მქონე—შვილიღა რჩება ქვეყანას, რომლის გულის სიღრმეში ანთებულს მოძმისადმი სიყვარულის ცეცხლს მედგრად შეუძლია ხანგრძლივი, მხურვალე სიტკბოების შუქი მოფინოს გარშემო მყოფ თემს და გაათბოს, გაალვიძოს მისი დროთა ვითარებით დაჩაგრული და გაყუჩებული გული. იგი ათამაშებს მასში ვაჟკაცური ღონით სავსე ცნობებს და გაიტაცებს შორს ჩვენი ქვეყნის ისტორიულს წარსულში. აი ამ ისტორიულ ოცნების ჩრდილში გახლავართ სწორეთ ახლაც, როდესაც ჩვენს წინაშე ჩვენის ერის წარსული დიდების ნაშთს და დღევანდელს ჩვენს სიამაყეს, სიამპარტავნეს იმერეთის ისტორიულ ცხოვრების ძველათ დაშთენილს ბატონიშვილს ალექსანდრე ბაგრატიონის უსულგულო და უმეტყველო გაცივებულ გვამს დავცქერი. ეგებ იფიქროს ვინმემ, რომ განსვენებული თავის მაღალი წოდებით და ისტორიული შთამამავლობით იყო მხოლოთ პატივცემული.—არა, ბატონებო, ამგვარი შთამომავლობის პატრონი თითქო ორ-ორი კიდევ მოგვეძევებიან ჩვენს დაქვეითებულ ქვეყანაში, მაგრამ იმ მხურვალე სიყვარულს, იმ უაანგარო პატივსცემას, რომელითაც ჩვენი საზოგადოება განურჩევლათ წოდებისა იყო მისდამი განსჭვალული, დარწმუნებით მოგახსენებთ, ვერვინ ეღირსება.

ეს ხვედრია, მხოლოთ ღვთის მადლით სავსე განსვენებულის მგზავს რჩეულთათვის. ის მხურვალე ცრემლი, რომლის ნაკადულიც გადმოდის თავადის, აზნაურის და გლეხის თვალებიდან, უძვირფასესი სამუდამო გვირგვინია განსვენებულის სიცოცხლის სარბაიელის მოქმედებისა. თუმცა განსვენებულს მწერლობით არ იცნობდა ხალხი, მაგრამ მისი პატიოსნების ცოცხალი მაგალითი, მისი თავდაბალი ტკბილი მეზობლური დარიგება, სიტყვა-პასუხი, ყოველს მის უმცროს მოძმეს ოქროს ასოებით ჰქონდა აღბეჭდილი გულის ფიცარზე.—მისი ეშხით სავსე თვალები სათნოებით სავსე პირისახის აჩრდილი დიდხანს იქნება ჩვენის საზოგადოების თვალის წინაშე აღმართული, საიდანაც მკრთალი ხმით ჩამოგვძახებს: „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“ აი, აქ ჰპოვებთ უმანკო სიყვარულს, ცხოვრების გემოს და განშორების დროს ჩემებრ დაგილბობსთ დაკოდილს გულს გლეხის მხურვალე ცრემლთა ნაკადულიო.—დიახ, ბატონბეო, დავკარგეთ ძვირფასი მეზობელი, ოქროს გულის მქონე პატიოსანი პირი. ჩვენს მწუხარებას, ჩვენს თავის ტეხას შეწყნარება არ ექნება, რადგან სასახლის ეკკლესიის გალავანიდან პირღია სამარე რაღაც უცნაური სიმხიარულით გაბრწყინვებული ხელებ გაშლილი შემოჩერებია და მოელის ამ ძვირფასი განძის საუკუნოთ ჩახუტებას თავის ცივ და ყოველგვარ ალერს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლებულს გულ-მკერდში. რამდენიმე წამიც კიდევ და განსვენებული შავი მიწის ფარდას უკან მიგვემალება, მოგვშორდება. მაშ ვისურვოთ განსვე-ნებულისათვის საუკუნოთ ცხოვრება და ჩვენდა სა-იმედოთ დატოვებული მისი ძის პატარა დათიკოსა-თვის აღზრდა, განვითარება, სწავლა-მეცნიერებით შემკობა და ის ტკბილი ხალხისადმი მხურვალე სი-ყვარულით აღჭურვილი გული, როგორიც განსვე-ნებულს მის მშობელს მკერდში უფეთქავდა.

შემდეგ განსვენებული წაასვენეს სასახლის ეკკლე-სიისაკენ. ეზოში ერთი დიდი ხის ქვეშ კათედრა იყო გა-კეთებული და აქ გრძნობიერი სიტყვა უთხრა განსვენებულს გ. ყიფიანმა, მაგრამ ტირილი ვერ შეიკავა სიტყვის თქმის დროს. შემდეგ ავიდა კათედრაზე გ. ქ. წერეთე-ლი, რომელმანც დიდი მნიშვნელობიანი სიტყვა უთხრა, რომელსაც სამწუხაროდ ვერ ვბეჭდავთ. ბოლოს აკაკიმ წარმოსთქვა შემდეგი ლექსი, რომლითაც თითქმის და ადასტურა გიორგი წერეთლის წარმოთქმული წინადა-დება და სიტყვა.

ეს საგულისხმო დღევანდელი დღე
საგანგებოა და სახსოვარი,
როგორც აჩრდილი ჩვენი წარსულის
და მომავალის ნიშან-ლამპარი:

—

ამ გვარი გლოვა და ეს ტირილი
აღარ გვინახავს დიდი ხანია!..
ჰჩანს, რომ წარსულ დროს თვის ჩვეულება
საფლავში თან არ ჩაუტანია.

—

და ისევ თურმე გვიღვივის გულში
ობოლ ნაკვერცხლად ჩვენი ძველი დრო,
ვით ცისარტყელა ფერადოვანი,
შვების ნიშანი მარად სამკვიდრო!

—

ვინ მოგვაგონა ეს ჩვეულება?
ვინ შეგვითანხმა ერთ გრძნობათ გული?
მან, ვინც დავკარგეთ ასე უდროვოთ
და მაღლით იქმნა მიწოდებული!..

—

ნერგი სამეფო, შტო ჩინებული,
ჩვენ ნიადაგზედ აღმონაცენი!..
ხალხის ნაშობი, თან შენაზარდი
ჭირში და ლხინში ჩვენი და ჩვენი!!

—

შეძლების და გვარ ქვეყნის მოყვარე,
გულის მომგები და საყვარელი!..
აი ვის იგლოვს ამდენი ხალხი!..
ვის საფლავზეა ცრემლების მღვრელი!!

—

ცვალებადია ჩვენი ქვეყანა!..
მხოლოთ განგება არ შეიცვლება...
მაგრამ მოყვარე და საყვარელი
ქვეყნის მკვდართ რიცხვში არ ჩაითვლება!..

—

აქაც დარჩება, იქაც წაჰყვება,
მას ზნეობრივი მისი ქონება!..
ხალხის გულია იმისი კუბო
და მტკიცე ტახტი ქვეყნის გონება.

—

მშვიდობით!.. მარად კურთხეულ იყოს
ამ ქვეყნათ ჩვენში შენი ხსენება!..
და იქ დიდებულ წინაპართ-შორის
ღირსი მიღება და განსვენება!..

წაიკითხა ჩანებული ლექსი აგრეთვე ერთმა ყიფიანმა და შემდეგ მიცვალებული მიასვენეს სასახ-ლის ეკკლესიაზედ და იმ ღამეს ეკკლესიაში ესვენა.

## საისტორიო მასალა.

### იოვანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე XIII-დმი მირთმეული 1799 წელსა.

(გაგრძელება *)

მეორმოცდამეხუთე. იყოს დაბალების უფ-როსი. რაც რომ ტყავი, სამოგვე, ქირი **), კემუ-ხტი, თალათინი ამათ მიერ კეთდებოდეს და ისყიდებოდეს შესაბამიერითა ფასითა.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 1 1895 წ.

**). ირმის ტყავი სამოგვედ მოქნილი.

მეორმოცდამეექვსე. იყოს მღებრებისა, ჩითების მკეთებლებისა, ფეიქრებისა, მელაინებისა და თავთათა დარეიასა მქსოველთ უფროსი და ესე აძლევდეს რიგსა და ფასსაც ესევე მიაწერდეს რიგიან, და ნართებსაც და ლაზღებსაცა ზედამხედველი ესევე იყოს და ესე ცდილობდეს ამათსა გამრავლებასა, რადგან დაბალი ხალხი ამას უფრო ხმარობენ საცმელად.

მეორმოცდამეშვიდე. იყოს უფროსი ქვის მთლელებისა, სათლავების ქვის მკეთებლებისა, წისქვილის ქვების მჭრელებისა და სხვათა ესე ვითართათვის ზედამდეგი და უფროსი და რიგის მიმცემი.

მეორმოცდამერვე. იყოს უფროსად (ყასიდბაში ესე იგი გამსტრობელი *). ამის ხელქვეშე იყვნენ ყარაულნი მთებისა და მინდვრისანი. ესე მისცემდეს რიგსა და თეთრსაც, საყარაულოს ეს მოჰკრებდეს და მისცემდეს მათ, აგრეთვე უცხოს ქვეყნებში ამას ჰყვანდეს სარწმუნო კაცნი მეთვალენი თეთრით, რომ მუნებურს მტრისას თუ მოყვრისას მოქმედებას ჭეშმარიტებით შეიტყობდეს.

მეორმოცდამეცხრე. იყოს უფროსი, მამულების. მცოდნე მიჯნებისა, სოფლებისა და მთებისა, ტყისა და მინდვრების, თუ ვის რაოდენი მამული აქუთ ანუ რაოდენი საკომლო ადგილნი, რომ დროსა მამულის ცილობისასა, ესე განურჩევდეს რიგიან ყოველთა. და ანუ განსყიდვის დროს ერთმან მეორეს მამული არ შერიოს მეორისათან ამის დაკითხვით გაიყიდებოდეს და ან გაყიდული მამული ხელმეორედ სხვას არ მიყიდოს. ამასვე ეკითხებოდეს ბეითალმანი მამული.

აგრეთვე იყოს სანადიროთა ტყეთა და მინდორთა უფროსი კაცი, სამეფო სანადიროები ადგილი ამას ებაროს უამისოდ ვერვინ ინადირებდეს იქ. და ამასთან ჟამსა პეპლობისასა და პირუტყვთ ახურებისასა, აგრეთვე ბარტყობისა და ნუკრობისა დროსა ნურვინ ინადირებდეს, რათა განმრავლდეს სანადირო ფრინველნი, და აგრეთვე პირუტყვნი.

*) ესე იგი დამზვერავი

მეორმოცდამეათე. იყოს უფროსი ქვრივ ოხერთა, ვისაც თავისთვის რჩენა არ შეუძლიათ. და ხელსაქმე კი შეუძლიათ, ესე გვარნი გამოიზარდნენ სამეფოს ხარჯით, და ამათ აკეთებინონ ვის რა ძალუდვას ხელსაქმისა. ეგრეთვე ნაბიჭვართა ვინცა შობდენ, ნუ ექმნებიან დედანი ორსულნი მუცლის წახდენის მიზეზ და ნურც მოშთობისა*). ესეცა ამავე მოხელეს ეკითხებოდეს, და ვისიც ყმის ქალმან შობოს, მისმან მებატონემან აღზარდოს თავის ყმადვე: თუ თავადის ბუში იყოს, ისევ მან თავადმან აღზარდოს იგი თვისად, ეკკლესიისა ეკკლესიამან აღზარდოს და სამეფოსა სამეფოდან. აგრეთვე უცხო მხარეს მოსრულთა ხიზანთა კაცთა ცოლშვილით თუ ისე მარტოდ ეს იყოს მზრუნველი, რომ არავინ შეაწუხოს.

ანუ თუ შემძლებელს ვისმე დაშთეს წვრილი შვილები ანუ ძმა, ანუ და, ამას უვანდეს კიდე შემწე კაცები ვაჭარნი და იმის შემოსავალს მოუარონ, იგინი აღზარდონ სწავლაში და როცა დააქორწინონ, მაშინ მათვე მიანდონ თავიანთი მამული და შემოსავალი.

მეორმოცდამეათერთმეტე. იყოს ზარაფხანის უფროსი, ამის სიტყვით მოიჭრებოდეს თეთრი, და ვინც სხუა ვინმე მოაჭრევინებდეს თეთრსა თავისის საკუთარს ვერცხლისას თუ ოქროსას, სამეფოდ ათშაურს აიღებდეს თუმანზედ.

---

## შედგომილება მოხელეთა.

მეორმოცდამეათთორმეტე. იყვნენ თორმეტნი ჭკვიანნი კაცნი. კარგნი შთამამავლობისანი, გამორჩეულნი: სამი ქართლიდამ, სამი კახეთიდამ, სამი თათრებიდამ დ და სამი მოქალაქეებიდამ. ესენი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისა, ანუ რათცა საქმე მოხდებოდეს, ან აშლა ვისთანმე, ან შერიგება ანუ მძიმე საქმეები, მეფის ბძანებით განახილვიდნენ ასმა

*). მოღრჩობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავის რჩევასაც დასდებდენ და მეფეთ თვის-სა განზრახულსა ერთად შეამოწმებენ, განარ-ჩევდენ და მერ თ ისე დაამტკიცებდნენ იმა საქმესა. ამათში ერიოს ერთ-ერთი მეფის ძეც.

მეორმოცდამეათცამეტე. მდივანბეგები იყვნენ, ვითარცა არიან, გარნა გამოირჩივნენ უფროსი მეცნიერნი კაცნი.

მეორმოცდამეათოთხმეტე. იყოს ორი კაცი გა-მორჩეული, ერთი ქართლით ერთი კახეთით, ავენა კაცების უფროსი, ამისთვის რომელ, ვი-ნაიდგან ხშირად არის ბეზღობა მებატონეებთან ერთმანერთისა, ზოგი შურით და მტერობით, და ზოგი გამორჩომისათვის, განწესდეს ესრეთ; ვინც ვინ შეასმინოს დაწეროს მის შესმენილის დანაშაული და მიუტანოს იმ ავენეების უფროსთ. ხოლო მათ მიართონ მეფესა. მეფემან უბოძოს მდივან ბეგებთა, რათა გამოიძიონ იგი; და მაშინ შესმენილიც და შემასმენელიც განიკით-ხნენ მდივან ბეგთა. თუ შურით იყოს შესმენილი და განმართლდეს მას წყალობა რაიმე ებოძოს მეფისაგან, და იგი შემასმენელი დაისაჯოს, ვითარცა განაჩინონ მსაჯულთა. და უკეთუ მართლად აღმოჩნდნენ შემასმენელი, შესმენილი, დასაჯოს, საქმისაებრ მისისა.

მეორმოცდამეათუთხმეტე. ხოლო სხვანი მო-ხელენი, ვითარცა არს ძველად, რადგან ჩვეუ-ლება(ა), იყვნენ ისევ. გარნა მდივანთ ანუ მწერალთ უხუცესი იყოს ერთი, და ამის ხელ-ქ ეშე იყვნენ სხვანი მწერალნი და მირზები.

### ნიშნებისათვის ანუ კავალერებისა და სხვათა ჯილდოთათვის,

მეორმოცდამეათექვსმეტე. გასახალისებლად ხალხის მსახურებისათვის მამულისა და განსხ-ვავებისათვის გვამთა იყოს ნიშნები (კავალერიად წოდებულნი). პირველი, რადგან წმიდისა ნი-ნოს მიერ ვართ მოქცეულ, იყოს ფინიკტზედ გამოწერილი წმიდის ნინოს სახე კუართი თურთ სვეტის ცხოველით, ერთი ხელის გულის ოდენი, და აქუნდეს ლენტი თეთრი, წითლის არშიით, ვითარცა ჩვეულებითსა კავა-ლერიისა, იმ სიპტყე, მხარზე გარდასაკიდებელი, და ვარსკვლავიცა ამისავე შესაფერი; ჩართული ვარსკულავის გულში Ꮑ. ჩინო. და ესე იყოს პირველი კავალერია. და მეორე ხარისხისა ესევე პატარა ხატი ყელზედ საკიდი იმავე ფერის მო-წვრილოს.

### ყმაწვილს.

ბედნიერი ხარ, ყმაწვილო,
აკვანში ტკბილად მძინარი:
შენს გულსა როდი აღელვებს
ცხოვრების ხვედრი ჯერ მწარი.
რო სტირი, ნანას დაგმღერის
ციური თავისუფლება,
და აკვანს გირწევს მშვიდათ
ბავშვური უმანკოება.
არ იცი აწმყო, წარსული
და არცა მომავალია.
მუდამ დაგყურებს ერთგულათ
მზრუნველის დედის თვალია.
როს გაიზრდები, გაიგებ
მუხთალი სოფლის ყდერასა,
დასწყევლი კაცის გაჩენას,
იმას შავს ბედის-წერასა.
მაშ ჯერეთ ძილი შეიტკბე
უდარდელ მოსვენებისა;
მოგელის შენ დრო შრომისა,
ცრემლის და მწუხარებისა,
ბევრი შეგხვდება ნაღველი,
აუტანელი ტანჯვანი,
და შეგეცვლება საფლავათ
უდროვოთ ყრმობის აკვანი,
სოფლის შეცნობა, მის ცნობა,—
გულისა მომშხამავია...
სოფლისა ცნობით ტანჯული
ყველაზედ საცოდავია!!

ილ. ჩ—ელი.

## შესანიშნავი ხელნაწერი.

(გაგრძელება *).

### აქა ადამისა და ევის სამოთხით ექსორიობისათვის და გოდებისათვის მათისა და ღვთისა მიერ შერისხვა მათი.

ბოროტმან მლიქვნელობითა იხმარა ესე გველობა,
მოკლა გონებით უმანკო, ჰყო დიდი სისხლის მღვრელობა,
არწმუნა დედამ უმანკომ, ჰქმნა ესე მომვაჭრელობა
ჵი, რაბამად საგლოვი შეგვხვდა ცრემლისა ცხელობა.

—

ევამ მიიღო, ადამცა აგემა მასვე გემოსა,
ჭამე, უკვდავების წილ, მოკვდავებისა შემოსა,
შთაცვივდენ შვენის სანაცვლოდ ჭმუნვასა სამიმდემოსა,
და ამად მიეცნენ მარადად საქმესა შესაკდემოსა.

—

ბოროტსა გველსა წყეულსა ჰხვდა ჟამი სიხარულისა.
სრულ-ჰყო მაცთურმან ყოველი თვისი წადილი გულისა,
გამოაცხადა საქმენი ძმა ცვისა დაფარულისა,
და უხარის დარწყმა საფრხისა, ედემს სხმულ დანერგულისა.

—

გემო რა იგი განიღეს პირველთა ჩვენთა მშობელთა
კეთილად ქმნილთა ტურფათა და სამოთხისა მფლობელთა,
ჰსცნეს შიშლოება თავისა კდემისა მრავლად მგრძნობელთა,
და ჰქმნეს საქმე ფრიად სალმობი, ჰხედნენ ცრემლთა შეუშრობელთა.

—

რა შეცთომილთა ისმინეს ხმა ღვთისა, ედემს მავლისა,
შექმნეს დამალვა ხეთ შორის, ვით არს წეს-გარდამავლისა,
ჰყვეს სისწრაფითა გარემო ფურცელთა მოყრა მრავლისა,
და ეს იყო მათგან მოება სვე-სვიანობა დავლისა.

—

ხმა უყო ღმერთმან: ადამო სადა იყოფი, და ვითა?
იგი გლახ შეშინებული გამოხდა სამალავითა,
ჰკადრა: უფალო შევიკდემ, ვარ გვამით უმოსავითა
და უბრძანა: «ვინ გრქვა, შიშველ ხარ, სიტყვითა საზრახავითა?

—

ნუ თუ გარდახედ მცნებასა სჭამე მის ნაყოფისანი,
განცხრომისა წილ მიისთვალე ცხოვრება ვაებისანი,
მან ჰრქვა: უფალო ევამან მომცა მე მის ხილისანი.
და ევასა ჰკითხა, მან ჰკადრა ქმნილება იგ გველისანი.

—

განრისხდა მათზედ მეუფე, დამბადებელი ყოველთა,
შექმნი უსხეულთა და სხეულთ, მოზარდ, მოძრავთა ცხოველთა,
დასწყევა მწარედ, ისმინეს საბრალოდ ცრემლთა მთოველთა,
და ედემით განხდა მიიღეს დასჯად სიკვდილის მპოველთა,

—

დაუხშო კარი სამოთხის მახვილმან მოტყინარემან,
არღა ძალ ედვათ მუნ შვებად მოიცვა დრომან მწარემან,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 2 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალნი ცრემლითა აღუვსო მათ ღვარმან მომდინარემან,
და ესე შესძინა გველისა თავმან გესლ-ნაღებარემან.

—

დაესაჯა მიწით შექმნილს კვალად მიწად დაავლება,
სამოთხის წილ საშვებელის ჯოჯოხეთში ვალალება,
ღვთისა ხილვის დიდებისა საუკუნოდ გამოკლება,
და ნაცვლად ტკბილის უკვდავების შეხვდათ წყლთა დამოკლება,

—

იყვნენ გარემოს ტკბილისა მის საშვებელის მჭირვალნი,
იგლოვდენ მისა დაკარგვას, სისხლის ცრემლითა მტირალნი,
მის კეთილ ჰაეროვნების გონებით მარად მჭირალნი,
და მწუხარებისა ლახვრითა უწყალოდ განაგმირალნი.

—

ჟამითი-ჟამ მოუკლებლად თვისს დიდებას იგლოვდიან,
ღვთისა ხილვის მოკლებისა ცეცხლის ცრემლით მოსთქმიდიან,
სულთქმიდიან, იტყებდიან, იცრემდიან, იხოჰდიან,
და თვისგან ქმნილსა ვალალებდეს, განცვიფრდიან, განჰკვირდიან.

—

ინანდეს, სულთქმით იტყოდეს: შევსცთით მზაკვარის ცნითა,
გამოუთქმელი დიდება დავკარგეთ მისის სმენითა,
კეთილთა ლხინთა სანაცვლოდ ტანჯულვართ მწარის სენ-თა,
და გველის რჩევისა მიყოლით წყენითა ალვივ ენითა.

—

რად ვერა ვსცანით ბედკრულთა მისის გესლისა დინება,
კდილთაგან მისთა ბოროტთა სხვა ვის რა შეეძინება,
ვინ გვიხსნას მწარეს სალმობით, ვინ გვკურნოს ესე წყინება
და ვიდრემდის ძე კაც არ იქმნეს მუნამდე არ გველხინება!

—

ოდეს მამამან ძე თვისი ჰყოს სოფლად მოვლინებული,
იშვას ქალწულით ხორცითა საქმითა განცხადებული,
იგ მოჰკლავს გველსა მაცთურსა, ჯვარზედა ამაღლებული,
და მან გვიხსნას ეშმაპისაგან, გვყოს ედემს კვალად რებული.

—

სიტყვის ხორც ქმნადმდე არლა არს ხსნა ჩვენი სხვითა ღონითა,
ნებსით ვიქმენით ტყვენიდა ბრძანებას გაუგონითა,
განმზადა ჩვენთვის უფსკრული გველმან მტკიცე მოქლონითა,
ამიერიდგან გლახ დავშთით, სავსე ცრემლისა ფონითა.

—

დაეშენნენ სამოთხისა გარე, იყვნენ ცრემლთა წურვით.
იქმნეს ტყავი სამოსელად, შიშლოების გარმოშურვით,
აზრალებდეს ურთიერთსა, ამად თავთა იყვნენ მდურვით,
და ედემსავე იგონებდეს, იგი ჰქონდათ წყურვით სურვით.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პერიოდიული გამოცემანი იაპონიაში.

---

ჟურნალ „Revue des Revues"-ში ერთს იაპონელს პოეტს დაუბეჭდია ცნობანი იაპონიის ჟურნალ-გაზეთების შესახებ.

ამ ოც-და-ათის წლის წინად იაპონიაში სულ არ ყოფილა არც გაზეთი და არც ჟურნალი. რაღაც ამ ათიოდე წელიწადში გამრავლდნენ ჟურნალ-გაზეთები, ისე რომ ამ ჟამად ტოკიოში ოთხასი ყოველ-დღიური გაზეთი გამოდის და სამასი ჟურნალი. პირველი გაზეთი «მოშიოგუსსა» ვინმე კიშიდამ გამოსცა. მაშინ ბეჭდვითს სიტყვის თავისუფლება მეტად ალაგმული ყოფილა იაპონიაში. პოლიტიკაზედ წერის ნებას სულ არ აძლევდნენ.

პირველი ყოველ-დღიური დიდი გაზეთი «უბინ-ჰოჩი-შინ-ბუნ» 1872 წელს გამოვიდა (გაზეთის სათაური ჰნიშნავს («ფოსტა—განცხადებანი—ახალი ამბები») ამ ჟამად ყველაზედ უფრო მეტად გავრცელებულია ყოველ-დღიური გაზეთი «ჯიჯი—შინ—ბუნ» საქმე—განცხ.—ახ. ამ.), რომელიც 1883 წელს დაარსდა. იგი ოპოზიციის ორგანოდ ითვლება და მომხრეა ევროპის ცივილიზაციისა. ამას გარდა ორი ოფიციალური გაზეთიც გამოდის: «ტოკიო—ნიტიმტი—შინბუ» და «კოკიბუნ—შინბუ». ეს უკანასკნელი ჩინეთ იაპონიის ომის ილიუსტრაციებსაც ჰხატავს ამ ჟამად. რადიკალებსაც აქვთ თავისი ორგანო «ნიტხუპუ» (იაპონელი), წერილების უმთავრესი ნაწილი ხელ-მოუწერელია, ანუ ფსევდონიმებით არის მოწერილი. ეს აუცილებელია, რადგან ბევრი მწერალია იაპონიაში, რომელნიც არისტოკრატიასა და უმაღლესის მთავრობის მოხელეებს ეკუთვნიან. წინად „ყოველ-დღიური" გაზეთები კვირა-უქმობით არ გამოდიოდნენ, ეხლა-კი ამ დღეებშიაც იბეჭდებიან. ფასი იაპონიის გაზეთებისა მეტად იაფია. ამ რიგად მარტო მიკადოს დედა-ქალაქში გამოდის 700 ჟურნალ-გაზეთი. ამის გარდა მრავალი გაზეთი პროვინციებშიაც იბეჭდება

კორეის კონსტიტუცია. კორეს მეფემ თავისს ქვეყანას ახალი კონსტიტუცია მიანიჭა და თავისის წინაპრების საფლავზედ დაიფიცა, რომ სავსებით შეასრულებს მინაჭებულს უფლებათ. ასევე მოიქცა ამ 30 წლის წინად იაპონიის მეფეც, როდესაც გარდაწყვიტა თავისს ქვეყანაში ევროპიული სწავლა-განათლება შემოეღო. გაზეთ „ტრიოსენ-მიუპა"-ს სიტყვით კონსტიტუცია შემდეგის მუხლებისაგან შესდგება:

1) კორე თავისუფალი სახელმწიფოა. პოლიტიკა სახელმწიფოსი დამყარებული უნდა იყოს იმ რწმუნებაზედ, რომ ერს თავისთავად შეუძლიან ცხოვრება.

2) სახელმწიფო და სასახლე განცალკევებულია ერთმანეთისაგან.

3) სახელმწიფო საქმეებს აწარმოებენ განსაკუთრებით მეფე და მინისტრები. არც დედოფალს და არც მეფის ნათესაობას არავითარი გავლენა არა აქვთ მთავრობაზედ.

4) თითოეულის მინისტრის სფერა მოქმედებისა მტკიცედ არის შემოსაზღვრული.

5) გარდასახადი მხოლოდ კანონის ძალით ქხდევინებათ.

6) სახელმწიფოს შესავალ-გასავალს განაგებს მარტო ფინანსთა მინისტრი და პასუხის-მგებელიც ის არის.

7) ხარჯი, რომელიც სასახლეს სჭირია, თვალსაჩინოთ შემოკლებულია, რადგანაც ზომიერების მაგალითი უნდა იყოს ხალხისათვის.

8) სახელმწიფოსი და სასახლის ხარჯთ-აღრიცხვა წინ-და-წინვე უნდა დამზადდეს.

9) ნიჭიერნი ახალგაზდანი უნდა იგზავნებოდნენ საზღვარ-გარეთ, რათა იქ შეიძინონ სწავლა-მეცნიერება და შემდეგში სამშობლოს გამოადგნენ.

10) უნდა დაიდვას საფუძველი ჯარის კარგად მოწყობისა.

11) სიცოცხლე და ქონება ერისა კანონით ხელ-შეუხებელია.

12) ამიერიდგან შთამამავლობა კი არა, არამედ ნიჭი და ცოდნა იქნება უმთავრესი გზა სახელმწიფო სამსახურისა და წარჩინების მოსაპოვებლად.

13) ყოველივე, რაიც-კი შეეხება სამეფო ოჯახს და მისს დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან, მტკიცედ უნდა იყოს დამკვიდრებული და წესი მემკვიდრეობისა უზრუნველ ყოფილ იქმნას მემკვიდრის დანიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

---

## ცხოვრება

ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა

### გიორგი მთაწმინდელისა,

საღმრთო წერილის ქართულს ენაზე მთარგმნელისა, ათონის ივერიის სავანის ქტიტორისა და სრულიად ივერიის განმანათლებელისა.

(გაგრძელება *)

ამ სახით მოხუცმა ბოლოს დიდის მეცადინეობით დაარწმუნა ნეტარი გიორგი, რომ იგი წასულიყო წმ. ათონის მთაზე და დაესრულებია წმიდა ექვთიმეს შრომა. გამგზავრების წინ მოხუცმა უთხრა გიორგის: საღმრთო წერილში წინასწარმეტყველს ისაიას ნათქვამი აქვს, რომ სიონიდგან მოვალს სჯული და სიტყვა უფლისა იერუსალიმიდან (გამოს. 2, 3), ვინაიდგან ჩვენი ქვეყანა იერუსალიმიდგან განათლდა, სჯულიც აქედან უნდა მოვიდეს.

მონასტრის ძმებმა, დაინახეს რა წმიდა და უმანკო ცხოვრება ნეტარი გიორგისა, მის უნებურად აღირჩიეს იგი წინამძღვრად და მისცეს მას ჩვენი წმ. მამის ექვთიმეს ადგილი, და იგი, სიტყვისაებრ წმ. სახარებისა შეიქმნა მნათობად, რომელიცა უნათებდა ყველას (მათ. 5, 15,) უდაბნოში თავისი ქველ მოქმედებით და უმანკო ცხოვრებით. ნეტარს გიორგის არ სურდა წინამძღვრის თანამდებობის მიღება. მონასტრის ძმების მეორე ნაწილს წინამძღვრად აღრჩეული ჰყვდათ სხვა პირი, მაგრამ ისინიც თანხმანი გახდნენ ნეტარი გიორგის წინამძღვრობაზე.

წმ. გიორგი დიდხანს უარობდა და ითხოვდა, რომ ამ ორში წილის ყრით გაეთავებიათ საქმე; მონასტერში არსებული ჩვეულებისა მებრ, წილს ამ გვარად ჰყრიდნენ: აღრჩეულ პირების სახელებს დააწერდნენ ქაღალდის პატარა ნაჭრებზედ და შესდებდნენ საკრებულო ტრაპეზის ქვეშ და წირვის გათავების შემდეგ გამოიღებდნენ დაწერილს ქაღალდს და ვისაც წილი ხვდებოდა, წინამძღვრობაც მას უნდა მიეღო. ახლაც ასევე მოიქცნენ, და წილი სამჯერ ნეტარ გიორგის ხვდა და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ნეტარი გიორგი თვით ღვთის განგებით აღრჩეულ იქმნა წინამძღვრად. ამ სახით გიორგიმ მიიღო უფროსობა და წინამძღვრის კვერთხი.

ამ დღიდგან წმიდა გიორგიმ ერთი ორად გააძლიერა თავისი შრომა და მოღვაწეობა და სრულიად უარ-ჰყო ღვინო და ნოყიერი საზრდო, იცვამდა ძრიელ ღარიბულად. იგი ყველა ძმათათვის შეიქმნა ცოცხალი მაგალითი კეთილი ცხოვრებისა. აქ გიორგიმ გამოიჩინა თავისი ნიჭი და ცოდნა, როგორიც კი შეეფერებოდა ღვთის სახლის მაშენებელს და გამგეს. წმიდა გიორგიმ მონასტრის ძმებს მოაგონა წმიდა ექვთიმე, რომელმაც აღაშენა ივერიის მონასტერი, შეასწორა მონასტრის წესები და უმთავრესი ყურადღება მიაქცია საეკკლესიო ღვთის-მსახურების რიგიანად წარმოებას. მონასტრის ძმები ისე ისმენდნენ წმ. გიორგის ყოველივე სიტყვას, როგორც თვით წმიდა მოციქულებისა და წმიდა მამებისგან გადმოცემულს. პირველი საქმე გიორგისა, მონასტერში მისვლის შემდეგ, იყო, რათა ვრცლად გამოეკითხა მეუდაბნოეთა და ექვთიმეს მოწაფეთაგან ცხოვრება ამ წმიდა მამის, მისი მამის ნეტარი იოანნესი და ივერიის ქვეყნის სხვა წმ. მამათა, რომელნიც წმ. ექვთიმესთან ერთად მოღვაწეობდნენ ამ სავანეში. მან ვრცლად შეიტყო, თუ როდის დაარსდა ივერიის წმიდა უდაბნო; წმ. გიორგიმ გამოიკვლია ჩვეულებანი და წესები, როგორნიც დადგენილ იქმნენ ექვთიმესგან. როცა ყოველივე ესები სასწორით შეიტყო, რისი შეტყობაც კი შეიძლებოდა მნახველებისაგან და იმ სხვა და სხვა ხელნაწერებიდგან, რომელნიც წმ. ექვთიმესაგან იყვნენ დარჩენილნი, გიორგიმ შეადგინა წმ. ექვთიმეს ცხოვრების აღწერა, რომელიც დაუტევა შემდეგ დრომათ სამახსოვროდ. ეს საქმე შეასრულა მან მაშინ, როცა იგი პირველ ბერ-მონაზვნად ითვლებოდა; როცა წინამძღვრის

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 5 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობა მიიღო, იმან აღაშენა ის საკრებულო ტაძარი ღვთის-მშობლის მიძინების სახელზე, რომელიც დღესაც არსებობს, ამას მოწმობს ის წარწერა, რომელიც აჩნია სპილენძის რგოლზე, რომელიც დევს ტაძრის შუა იატაკზე. აი ეს წარწერა: «მე დავამაგრე ეს სვეტები და უკუნისამდე არ შეირყევიან. გიორგი, ბერი, ივერიელი და კტიტორი!». როცა გიორგიმ ამ ტაძრის შენება გაათავა, შემდეგ ტაძარში შესაფერი ლუსკუმა გაუკეთა წმიდა და ღვთის მოსავ მამა ექვთიმეს და დიდის პატივით გადმოასვენა მისი ნაწილები ნათლის მცემლის ეკლესიიდან საკრებულო ტაძარში, სადაც განისვენებენ იგინი დღემდის. ამავე წმიდა ლუსკუმაში წმ. გიორგიმ ჩაასვენა ზოგიერთი ნაწილები წმ. პირველ მოწამის მთავარ-დიაკვნის სტეფანესი და ნაწილები წმ. მოწამის ეგნატე ღვთის მოსავისა.

როცა ნეტარმა გიორგიმ ყოველივე წესიერად შეასრულა, უყურადღებოდ არ დასტოვა არც წმიდა ექვთიმეს მამის ღირსი იოანნეს და წმ. ექვთიმესთან საეკლესიო წიგნების ბერძნულის ენიდგან ქართულს ენაზე თარგმნის საქმეში მოღვაწე პირთა წმიდა ნაშთნი; აგრეთვე მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ნეტართა და ღირსთა მამათა ჩვენთა არსენის, ნინოწმიდის ეპისკოპოსისა და წმიდა და ღვთაებრივი სიბრძნით აღვსილი ბერის იოანნე გრძელიძისა, რომელნიც განისვენებდნენ მონასტრის ეზოში, ღირსის სიმეონის ეკლესიის მახლობლად. ეს ხსენებულნი წმიდა მამანი ამ ეკლესიის მახლობლად მცირე ოთახებში სცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და აქვე განუტევეს სული. ჩვეულებისა-მებრ ეს მამანი დაიმარხნენ ამავე ტაძრის მახლობლად მათ საცხოვრებელ სახლებში. წმ. გიორგიმ პირველად გამოასვენა ნათლის-მცემლის ეკლესიიდგან საკრებულო ტაძარში წმიდა ნაშთნი ღირსი იოანნესი და დაასვენა მისი შვილის ექვთიმეს ნაწილებთან ერთად, ხოლო შემდეგ დაუწყო ძებნა სხვა ზემოთ აღნიშნულ წმიდა მამათა წმიდა ნაწილებს.

იმ დროს, როცა კეთილ-მსახური ბაგრატ IV, მთელი საქართველოს მეფე, და დედა მისი, დედოფალი მარიამი, მეუღლე მეფე გიორგი I-ისა, მიბრძანდნენ კონსტანტინეპოლში, ნეტარი გიორგი წავიდა სატახტო ქალაქში, რომ თავისს მეფეს გამოცხადებოდა. მეფე, დედა მისი და მათი მხლებელი დიდკაცობა სიხარულით აღივსნენ, ვინაიდგან ნეტარი გიორგის პატარაობიდგანვე იცნობდნენ და ბევრი რამ საქებური ჰქონდათ გაგონილი მისი კეთილი ცხოვრების შესახებ; მან მიიღო წმ. გიორგისაგან ლოცვა-კურთხევა და მადლობდნენ ღმერთსა, რომ ღირსი შეიქნენ ეხილათ მნათობი, მშვენება საქართველოს ეკლესიისა. მათი მოწყალებით და შემწეობით მან წესიერებაში მოიყვანა ყველა მონასტრების საქმეები, რომელიც მას დაუსრულებელი ჰქონდა. ამის შემდეგ მარიამი, მეფის დედა, შეიქმნა წმ. გიორგის მოწაფე და მისგანვე აღიკვეცა მონაზვნად. დედოფალმა სთხოვა მონომახს, რომ მას წლიურად დაენიშნა მონასტრისათვის ლიტრა ოქრო, ე. ი. 9 გირვანქა და თვითონაც მისცა მონასტერს წლიურად ერთი ლიტრა ოქრო თავისი სულის საუკუნო მოსახსენებლად. ამ მაგალითს მიბაძა სხვა დიდ კაცობამ; ერთი ლიტრა შესწირა მისმა მოწაფემ, ვინმე არსენიმ, რომელიც წმ. გიორგი მთაწმიდელის მოწაფე იყო, თავისი სულის მოსახსენებლად. სხვა ბევრი შეწირულებაც მიიღო ნეტარმა გიორგიმ სხვა და სხვა პირთაგან და შემდეგ დაბრუნდა ათონზე ივერიის სავანეში.

როცა ბაგრატმა დაინახა ქველის მომქმედი, კეთილი და ანგელოზებრივი ცხოვრება ნეტარი გიორგისა, წინადადება მისცა მას სამეგრელოის ეპარქია მიეღო და ყოველივე საშუალება იხმარა, რომ ნეტარი გიორგი საქართველოში წამოეყვანა. სამეგრელოის, ჭყონდიდელის ეპარქიაში იყო შესანიშნავი სავანე იმავე წმ. სახელობაზე აღშენებული, მდიდარი მრავალ მოწამეთა სასაფლაოებით და დიდებული თავისი გონივრული მოღვაწეობით მთიულ კერპთაყვანის მცემელთა შორის. მეფემ ამ საკრებულო ტაძარში მოიმზადა თავისთვის სასაფლაო. ამ დროს ამ სავანის წინამძღვარი, იგივე მთავარ-ეპისკოპოზი, ეპარქიის უფროსი, გარდაიცვალა, და ამიტომ ეს კათედრა თავისუფალი იყო. მეფეს სურდა წმიდა მთაწმიდელი საქართველოში წამოეყვანა, რომ ეს თავისუფალი კათედრა მისთვის მიეცა მაგრამ გიორგიმ უარჰყო მეფის წინადადება, იგი ცოტახანს დარჩა კონსტანტინეოპოლში, ვიდრე მონასტრის ყველა საქმეებს სისრულეში მოიყვანდა და შემდეგ კი დაბრუნდა თავისს სავანეში.

დაუბრუნდეთ უწინდელს ჩვენს მოთხრობას. ღირსი გიორგი, როცა მან ყოველივე სისრულეში მოიყვანა, კონსტანტინეპოლიდგან შავს მთაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემგზავრა, ხოლო იქიდგან ანტიოხიაში, სადაც ამ დროს სცხოვრობდა დედოფალი მარიამი. დედოფალს ძლიერ გაეხარდა, რომ ნეტარმა გიორგიმ ყოველივე დაასრულა, და ამის შემდეგ იგი, დედოფალი, მალე ანტიოხიიდგან თავის სამეფოში, საქართველოში გაემგზავრა თავისს შვილ მეფე ბაგრატტთან, სადაც დაასრულა თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღენი.

ღირსი გიორგი, როცა იგი პალესტინიდგან დაბრუნდა და მისდამი მინდობილ საქმის შესახებ ანგარიში წარადგინა, შეუდგა საღმრთო წიგნების თარგმნას. იმ დროს მხოლოდ წმიდა ექვთიმესგან ნათარგმნი წიგნები იყო. ნეტარი გიორგი დღე და ღამე დაუღალავად თარგმნიდა საღმრთო წიგნებს და ამავე დროს ჩვეულებრივი მონაზნურ წესებსაც ასრულებდა. ნამდვილი ტექსტის შემწეობით მან გაასწორა ახალი აღთქმის ქართული ტექსტი, რომელიც მეხუთე საუკუნეში იყო ნათარგმნი *), აგრეთვე მან თარგმნა სხვა საღმრთო წიგნები, რომელნიც საქართველოში იხმარებოდნენ და რომლებშიდაც გადამწერთა გაუნათლებლობისა და უყურადღებლობისა გამო და ან კიდევ განგებ (იმიტომ რომ იმ დროს საქართველოში სცხოვრობდნენ ზოგიერთი სომხები, რომელნიც აღიარებდნენ იესო-ქრისტეში ერთ თვისებას (მონოფიზიტი) *) და რომელნიც სწერდნენ ქართველთათვის საეკლესიო წიგნებს და შეჰქონდათ მათში თავიანთი შეცდომა), ბევრი შეცდომა იყო მოხდენილი, რომელიც ამახინჯებდა ნამდვილს აზრს. მრავალი წიგნები, რომელიც წმიდა ექვთიმემ ვერ დაასრულა, ან შემოკლებულად თარგმნა, წმ. გიორგიმ შეავსო და შეამოწმა ისინი საუკეთესო ბერძნულს ხელნაწერებთან.

მეტი არ იქნება ჩამოვთვალოთ ყველა ის წიგნები, რომელნიც წმიდა და ნეტარმა გიორგიმ სთარგმნა ქართულს ენაზე ეკკლესიებში სახმარებლად; ეს წიგნები დღემდისაც იხმარებიან: დღეს ყველა მართლ-მადიდებელმა მკითხველმა შეიტყოს წმ. გიორგის ნაშრომი და მწყემსებრივი მოღვაწეობა სასარგებლოდ მართლ-მადიდებლობისა. ნეტარი გიორგი თარგმნიდა საღმრთო წიგნებს არა მარტო მონასტერში შავს მთაზე, არამედ მოგზაურობის დროსაც იერუსალიმში დედოფლის მინდობილობით, წმიდა ათონის მთაზე და კონსტანტინეპოლში მყოფობის დროს და სხვა ადგილებში. ზოგი ამ წიგნებიდგან ნაწერი აქვს მას ორ და სამ სვეტად. წმიდა გიორგიმ სთარგმნა შემდეგი წიგნები:

1) სრული სვინაქსარი.

2) საქმე წმ. მოციქულთა, ყველა ეპისტოლენი პავლე მოციქულისა და მსოფლიო ეპისტოლენი ყველა სხვა მოციქულთა.

2) სამოციქულო წლის დღესასწაულებზე.

4) თორმეტი თთვენნი

(შემდეგი იქნება)

---

*) საეკლესიო წიგნებს ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისში ბერძნულს ენაზე კითხულობდნენ. ზოგი ეს წიგნები შემდეგ გადათარგმნეს სკოლებში, რომლებიც თვითონ ბერძნებმა დაარსეს; ამ სკოლებში ემზადებოდნენ მქადაგებელნი მართლ-მადიდებლობისა სამშობლო ენაზე. ამ სკოლების დაარსებისათანავე გამოჩნდნენ დავითი და სტეფანე, რომელთაც სირიულის ენიდგან სთარგმნეს საღრთო წერილის ხოლო საეკკლესიო წიგნები ბერძნულიდგან. ეს მამები სწავლობდნენ იერუსალიმის იმ სკოლაში, რომელიც მე V საუკუნეში თავადის ტაატიანის მეცადინეობით დაარსდა; ამავე თავადმა აღაშენა იერუსალიმში მონასტერი, რომელიცა შეიქმნა თავშესაფარი ქართველთათვის.

*) მაგალითად იოანნეს სახარების მე 20 თავის პირველი სტრიქონი ხელნაწერებში, რომელნიც სომხებისგან ქართულად იყვნენ ნაწერნი, ასე იკითხებოდა (როგორც დღესაც კითხულობენ სომხები): მარიამ მაგდანინელი მოვიდა საღამოთი, როცა ბნელოდა! ამის გამო სომხები ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს იწყებენ საღამოდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოწოდება.

## ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამმართველოისა ქართველი საზოგადოებისადმი.

შეწევნითა ღვთისათა და კეთილმზრუნველობითა ჩვენზედა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, აწ განსვენებულის იმპერატორისა ალექსანდრე მესამისა 8 ივნისს, 1894 წელსა უკაზითა უწმიდესის სინოდისათა გახსნილი იქმნა ქალაქ ქუთაისში სასულიერო სემინარია დასავლეთსაქართველოისათვის და ამ სემინარიაში წიგნთ-საცავის დასაფუძნებლად უწმიდესმა სინოდმა შემოსწირა 500 მანეთი, რომელ ფულებიდან 100 მანეთი იქმნა სინოდისაგანვე გადადებული ქართული წიგნების მოსაპოებლად. აღსასრულებლად ამა უკაზისა, სემინარიის მართებლობამ დაუყონებლივ მოიპოვა იმ 100 მანეთით 50 ცალი ქორდანიას გრამატიკისა, 50 ცალი პატარა ქამნებისა, 3 ცალი ქართული დაბადებისა, 3 ცალი დავითნისა, და თითო ეკზემპლიარი ზადიკისა, ლოცვანისა, კონდაკისა, სამოციქულოისა და პარაკლიტონისა. ამ სახით, ქართული წიგნების განყოფილება სემინარიის ბიბლიოთეკაში შესდგება მხოლოდ რამოდენიმე გრამმატიკისგან, და ზოგიერთ საეკლესიო წიგნების თითო ცალისაგან, რაც სრულიად არ არის საკმაო ნიჭიერებით და სიცოცხლით სავსე შეგირდებისათვის, რომელთაც სწყურიათ განათლება და გონებრივ-ზნეობის განვითარება. მაგრამ, რადგან სემინარიასთავისი საშუალება არ მოეპოება, ამისთვის თავის ვალად სთვლის იგი, მიმართოს ქართველს საზოგადოებას და კერძოთ რედაქტორებს, წიგნების გამომცემელს ამხანაგობას, კერძო გამომცემლებს, ავტორებს, მწიგნობრობის მოყვარე, ბუკინისტებს და წიგნების მაღაზიის პატრონებს უმორჩილესის თხოვნით, რათა მათ არ დაიშურონ თავიანთი წვლილი— შემოწირულებანი სემინარიის წიგნთ-საცავში, ვინ თავიანთი გამოცემანი, ვინ თავიანთი თხზულებანი, ვინ წიგნები გაურჩეველად და ვინ ფულები ქართული წიგნების მოსაპოებლად. უგულითადესის მადლობით იქმნებიან მიღებულნი ყველასაგან გაზეთები და ჟურნალები ყველა წლებისა, კერძო თხზულებანი, ბიბლიოგრაფიული განძები, ცოტად თუ ბევრად საყურადღებო მანუსკრიპტები სემინარიის ბიბლიოთეკაში დასაკრძალავათ, მიიღებიან აგრეთვე დაბადებანი (ბიბლიები), კატეხიზმოებისა და სღვთის-მეტყველო თხზულებანი, ქადაგებანი, ბროშიურები, წმიდათა ცხოვრებანი, საეკლესიო წიგნები და საზოგადოდ ყველა ნაირი ქართული წიგნები.

ეს მოწოდება ქართული საზოგადოებისადმი არის მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის ნება დართვით, და სემინარიის მართებლობას სრული იმედი აქვს, რომ მისი თხოვნა და მოწოდება ამ ჟამად არ დარჩებიან ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

რექტორი სემინარიისა და თავმჯდომარე სამმართველოისა არხიმანდრიტი დიმიტრი.

მდივანი სამმართველოისა მასწავლებელი მ. გელენჯერიძე.

---

სალიტერატურო განყოფილება: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა; ოსანა ძესა დავითისასა!

ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე. სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა!

ახალი ამბები და შენიშვნები.—ყმაწვილს (ლექსი).—უკანასკნელი დღენი უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძის ბაგრატიონისა და მისი დასაფლავება ლვანკითში.—საისტორიო მასალა.—შესანიშნავი ხელნაწერი.—ჟურნალ-გაზეთთაგან.

სწავლა-მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე: ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა.

მოწოდება.

---

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 29 Марта 1895 г.

Типографія реадкціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкая ул.